



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030423668049613

№ 04-483/ო

17 / დეკემბერი / 2013 წ.

„2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის №04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

მიმწოდებლების მიერ საინფორმაციო პორტალზე სამედიცინო მომსახურების ნუსხის განახლებისა და სატარიფო არეალების დაანგარიშების ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ებრძანებ:

1. „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის № 04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქიმიოთერაპიული და ჰორმონოთერაპიული მედიკამენტების ღირებულების ნუსხის საინფორმაციო პორტალზე განახლება პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებულმა დაწესებულებამ (საჭიროების შემთხვევაში – ახალი ფასის დაფიქსირების მიზნით) უზრუნველყოფს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 15 რიცხვის მომდევნო ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

4. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ნუსხის საინფორმაციო პორტალზე განახლებას პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულება (საჭიროების შემთხვევაში – ახალი ფასის დაფიქსირების მიზნით) უზრუნველყოფს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 15 რიცხვის მომდევნო ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში“.

ბ) ბრძანებას მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 4¹ პუნქტი:

„4¹. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დაფიქსირებული ფასის ზრდას, ამ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საინფორმაციო პორტალზე ახალი ფასის დაფიქსირება განხორცილდება მას შემდეგ, რაც პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული პირის არგუმენტირებულ (დასაბუთებულ) წერილობით მოთხოვნაზე, მიღებულ იქნება სააგენტოს წერილობითი თანხმობა.“.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციას (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის და სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტს (რ. გოგოლაშვილი), ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტს (რ. გოგოლაშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ჩხარ